

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი გავლენა საქართველოს
ბაზარზე არსებულ კომპანიებზე

ეკატერინე კოდუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ყაველაშვილი, ბიზნეს ადმინისტრირების
დოქტორი

თბილისი

2018 წელი

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე კოდუა

2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება მოგების გადასახადის ესტონურ მოდელს და მის გავლენას საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებზე. ნაშრომში დეტალურად არის განხილული, თუ რას გულისხმობს ეგრედწოდებული „განაწილებული მოგების გადასახადი“-ს დანერგვა საქართველოს საგადასახადო სისტემაში. აღწერილია, გადასახადების არსი და მათი გამოყენების განსაზღვრული ნორმები, ასევე განხილულია სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის საგადასახადო პოლიტიკა და გარკვეულ ასპექტებში გამკაცრებული საგადასახადო პოლიტიკა. განხილულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის ცვლილებით გამოწვეული შედეგები.

ანალიზისთვის გამოყენებულია: უცხოური ლიტერატურა, პერიოდული გამოცემების მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევები, დასკვნა-რეკომენდაციები, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შეჯამებული ინფორმაცია მათ შორის, ესტონეთში გატარებული რეფორმის პრაქტიკული შედეგები და გამოცდილება.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, წარმოაჩინოს მოგების გადასახადის რეფორმის ძირითადი ასპექტები, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი მოსალოდნელი შედეგების შეფასება და უკვე არსებული შედეგის გაანალიზება.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: განაწილებული მოგების გადასახადი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კაპიტალის სტრუქტურა, ლიკვიდურობა, ინვესტიციები, პროდუქტიულობა, დივიდენდი.

Abstract

Previous study refers to the Estonian model of profit taxation and its influence on the companies of Georgian market. The thesis provides detailed information about what means “Distributed profit taxation” and how it is implemented in Georgian Tax. Here is explained the meaning of the taxes and the norms used in tax administration. The thesis describes the supportive environment for entrepreneurship and moreover the tightened tax policies for some cases. The presented thesis contains analyze about the impacts of the Estonian model in Georgia.

The analyze and conclusions shown in the presented study are drawn by basing on the following types of courses: researches, conclusions, and recommendations of international organizations, public information by the Ministry of Finance of Georgia, Georgian Tax Code, the conclusive information by the Audit service of Government, researches about the experience of the taxation model in Estonia.

The main purpose of the thesis is to analyze the main aspects of the Estonian tax model being implemented in Georgia; the advantages and disadvantages of the reform; assessment of the impact of the reform; and the results of the reform up to the time of completing the thesis.

Basic key search words: contributed profit taxation, tax code of Georgia, Structure of Capital, liquidity, investments, productivity, dividend.